

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2016 წლის 29 ივლისის ბიუროს სხდომის

ოქმი №10

ქ. მცხეთა

ანტიოქიის ქ. №7, 15:00 სთ.

სხდომის თავმჯდომარე - ჯემალ სოლოღაშვილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს შემდეგი წევრები: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზაურ ღვინიაშვილი, ქონების მართვის, აგრარულ და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე - თამაზ მოძღვრიშვილი, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ნინო ლაზვიაშვილი, სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გოჩა ლაბაური, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ალექსანდრე თოდუა, ფრაქცია „პატრიოტი“-ს თავმჯდომარე - გალინა ახსაბაძე, ფრაქცია „დეპუტატები ხალხისათვის“ თავმჯდომარე - დავით ჯალაბაძე, ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატების“ თავმჯდომარე - დავით პაპიაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე, საკრებულოს აპარატის უფროსი - ოთარ ჩხეიძე, საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსი - ბესიკი კოზმანაშვილი, საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების უფროსი - მელანო მამაცაშვილი.

დამსწრეთა რაოდენობით ბიუროს სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და სხდომის თავმჯდომარემ წარმოადგინა დღის წესრიგი:

1. საკითხი: „ფრაქცია „რეფორმატორები“-ს დაფუძნების შესახებ“. მომხსენებელი - გიორგი ბაინდუროვი.
2. განკარგულების პროექტი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის №18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“. მომხსენებელი - თამაზ მოძღვრიშვილი.
3. საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში მდებარე, მოქალაქე გიორგი მღებრიშვილის (პ/ნ №31001009272) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 72.09.23.055.) დამისამართების შესახებ“. მომხსენებელი - გოჩა ლაბაური.
4. საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კველიანში მდებარე, მოქალაქე რობიზონ ოჩიაურის (პ/ნ №01002028590) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 72.05.05.147) დამისამართების შესახებ“. მომხსენებელი - გოჩა ლაბაური.



5. საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატახტარში მდებარე, მოქალაქე თამარ სიღამონიძის (პ/ნ №31001018054) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/ვ 72.03.23.332) დამისამართების შესახებ“. მომხსენებელი - გოჩა ლაბაური.

ბიუროს წევრებმა ხელის აწევით, ერთხმად განაცხადეს თანხმობა დღის წესრიგის დამტკიცებაზე.

სხდომის თავმჯდომარე გადავიდა საკითხების განხილვაზე.

მოისმინეს:

1. საკითხი: „ფრაქცია „რეფორმატორები“-ს დაფუძნების შესახებ“. მომხსენებელი - გიორგი ბაინდუროვი.

მომხსენებელმა გიორგი ბაინდუროვმა სხდომის მონაწილეებს გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სახელზე წარმოდგენილი მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „რეფორმატორების“ თავმჯდომარის გიორგი წონდელის და ფრაქციის წევრების: გიორგი სარდლიშვილისა და გოჩა ლაბაურის 2016 წლის 12 ივლისის განცხადება (სარეგისტრაციო ნომერი №6, 12.07.2016წ) ფრაქცია „რეფორმატორების“ დაფუძნების შესახებ, ფრაქციის რეგისტრაციაში გასატარებლად. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილია 2016 წლის 12 ივლისის ფრაქციის №1 სხდომის ოქმი, ფრაქციის პლატფორმა და წესდება.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხზე და მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ნოემბრის №50 დადგენილებით დამტკიცებული მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის თანახმად, ფრაქციას ფრაქცია „რეფორმატორების“ რეგისტრაციისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი აქვთ, ამასთან, საკრებულოს წევრის გოჩა ლაბაურის გასვლა „დეპუტატები ხალხისათვის“ ფრაქციიდან (11.08.2016წ) და ფრაქცია „რეფორმატორებში“ წევრად შესვლა (12.08.2016წ) სამართლებრივად სწორად განხორციელდა.

საკითხი რეგისტრაციაში გატარდა ბიუროს მიერ და ბიუროს წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით საკითხი ცნობად მიღების მიზნით შეტანილ იქნეს საკრებულოს 29 ივლისის რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს:

2. განკარგულების პროექტი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის №18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“. მომხსენებელი - თ.მომღვრიშვილი.

მომხსენებელმა თამაზ მომღვრიშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 28 ივლისის №6285 მომართვა, როლითაც ითხოვენ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე

მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის №49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 ივნისის №145 განკარგულების, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 21 ივლისის №161 განკარგულების საფუძველზე „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის №18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანას. კერძოდ, ცვლილება უნდა განხორციელდეს განკარგულების პირველ პუნქტში და დაემატოს „1.18“ და „1.19“ ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

1.1 „1.18“ მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. პატარა ქანდაში მდებარე 665 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე მდებარე შენობის №1 - 40,13 (ს/კ 72.09.35.163.) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 9 350 (ცხრა ათას სამას ორმოცდაათი) ლარით.

1.2 „1.19“ მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ წეროვანში მდებარე 265 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 72.08.28.580.) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 2 655 (ორი ათას ექვსას ორმოცდათხუთმეტი) ლარით.

ბიუროს მიერ კენჭი ეყარა ზემოთ აღნიშნულ პროექტს და ერთხმად გადაწყდა, რომ საკითხი განხილვის მიზნით შეტანილ იქნეს საკრებულოს 29 ივლისის რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს:

3. საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში მდებარე, მოქალაქე გიორგი მღებრიშვილის (პ/ნ №31001009272) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 72.09.23.055.) დამისამართების შესახებ“. მომხსენებელი - გოჩა ლაბაური.

მომხსენებელმა გოჩა ლაბაურმა სხდომის მონაწილეებს გააცნო მოქალაქე გიორგი მღებრიშვილის (პ/ნ №31001009272) პირადი განცხადება (№332, 22.07.16წ.) მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში მდებარე, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 72.09.23.055.) დამისამართების თაობაზე.

ბიუროს მიერ კენჭი ეყარა ზემოთ აღნიშნულ საკითხს და ერთხმად გადაწყდა, რომ საკითხი განხილვის მიზნით შეტანილ იქნეს საკრებულოს 29 ივლისის რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს:

4. საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კველიანში მდებარე, მოქალაქე რობიზონ ოჩიაურის (პ/ნ №01002028590) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 72.05.05.147) დამისამართების შესახებ“. მომხსენებელი - გოჩა ლაბაური.

მომხსენებელმა გოჩა ლაბაურმა სხდომის მონაწილეებს გააცნო მოქალაქე რობიზონ ოჩიაურის (პ/ნ №01002028590) პირადი განცხადება (№333, 22.07.16წ.) მცხეთის



მუნიციპალიტეტის სოფელ კველიანში მდებარე, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 72.05.05.147) დამისამართების თაობაზე.

ბიუროს მიერ კენჭი ეყარა ზემოთ აღნიშნულ საკითხს და ერთხმად გადაწყდა, რომ საკითხი განხილვის მიზნით შეტანილ იქნეს საკრებულოს 29 ივლისის რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს:

5. საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატახტარში მდებარე, მოქალაქე თამარ სიდამონიძის (პ/ნ №31001018054) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 72.03.23.332) დამისამართების შესახებ“. მომხსენებელი - გოჩა ლაბაური.

მომხსენებელმა გოჩა ლაბაურმა სხდომის მონაწილეებს გააცნო მოქალაქე თამარ სიდამონიძის (პ/ნ №31001018054) პირადი განცხადება (№325, 21.07.16წ.) მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატახტარში მდებარე, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 72.03.23.332) დამისამართების თაობაზე.

ბიუროს მიერ კენჭი ეყარა ზემოთ აღნიშნულ საკითხს და ერთხმად გადაწყდა, რომ საკითხი განხილვის მიზნით შეტანილ იქნეს საკრებულოს 29 ივლისის რიგითი სხდომის დღის წესრიგში.

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის ოქმი შეადგინა მ. მამაცაშვილმა.

16:00 სთ.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი